საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 27 მაისი, 2021 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/27

,,სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლისთვის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტისა და მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 დეკემბრის № 04-01/20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მ.ჯორბენაძის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლისთვის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტისა და მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 დეკემბრის № 04-01/20 დადგენილებაში და დადგენილების №1 დანართში:

ა) სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს 28 ერთეულით.

ბ) **სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი**

– საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (დრამის რეჟისურა) სამაგისტ-რო საგანმანათლებლო პროგრამაზე ნაცვლად 1 (ერთი) ადგილისა მიღება განისა-ზღვროს – 3 (სამი) ადგილით;

– აუდიოვიზუალური ხელოვნების (მხატვრული კინოს რეჟისურა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ნაცვლად 3 (სამი) ადგილისა განისაზღვროს – 5 (ხუთი) ადგილი.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ.ჭიჭილეიშვილი**

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021
წლის 27 მაისის №04-01/28 დადგენილების
დანართი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობისა და მობილობის ვაკანტური ადგილები

№	ფაკულტეტი	ადგილების რაოდენობა	
		შიდა მობილობა	მობილობა
	სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების (ბაკალავრიატი)		
1	არქიტექტურა	7	-
2	დიზაინი (ტექსტილის დიზაინი, სამოსის დიზაინი)	7	3
3	აუდიოვიზუალური ხელოვნება (კინორეჟისურა, ტელერეჟისურა)	10	-
4	სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო, დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)	5	-
	სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების (მაგისტრატურა)		
	აუდიოვიზუალური ხელოვნება (მხატვრული კინოს რეჟისურა)	2	-
	მუსიკის ფაკულტეტი (ბაკალავრიატი)		
1	სამუსიკო შემსრულებლობა (ფორტეპიანო, აკადემიური სიმღერა, აკადემი-ური გუნდის დირიჟორობა, საორკესტრო)	6	6
	განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (ბაკალავრიატი)		
1	ხელოვნებათმცოდნეობა	3	2
2	კულტურის მენეჯმენტი	5	-
3	კულტურული ტურიზმი	5	-
4	ტელე-რადიო ჟურნალისტიკა	2	-
	განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (მაგისტრატურა)		
1	ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)	1	2
2	ხელოვნების მენეჯმენტი	2	-

სწორია: